

ბრძანების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, იმერეთის ქუჩა N19-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.267), კონსტანტინე რეკვაავას ქუჩა N5-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.760) და კონსტიტუციის ქუჩა N45-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.01.572) მდებარე უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2022 წლის 23 სექტემბრის, N ბ42.422226625 ბრძანების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, იმერეთის ქუჩა N19-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.267), კონსტანტინე რეკვაავას ქუჩა N5-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.760) და კონსტიტუციის ქუჩა N45-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.01.572) მდებარე უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2022 წლის 12 ოქტომბრის, N ბ42.422228518 ბრძანების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, იმერეთის ქუჩა N19-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.267), კონსტანტინე რეკვაავას ქუჩა N5-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.760) და კონსტიტუციის ქუჩა N45-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.01.572) მდებარე უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2022 წლის 23 სექტემბრის, N ბ42.422230829 ბრძანების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, იმერეთის ქუჩა N19-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.267), კონსტანტინე რეკვაავას ქუჩა N5-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.760) და კონსტიტუციის ქუჩა N45-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.01.572) მდებარე უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2022 წლის 22 ნოემბრის, N ბ42.42223262 ბრძანების შესაბამისად და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, იმერეთის ქუჩა N19-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.267), კონსტანტინე რეკვაავას ქუჩა N5-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.760) და კონსტიტუციის ქუჩა N45-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.01.572) მდებარე უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2022 წლის 16 დეკემბრის, N ბ42.42223503 ბრძანების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარეგულაციისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

მუხლი 1. გამოცხადდეს განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, იმერეთის ქუჩა N19-ში მდებარე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.267, შენობა-ნაგებობა N1 და მასზე დამაგრებული 283.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი), კონსტანტინე რეკვაავას ქუჩა N5-ში მდებარე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.760, შენობა-ნაგებობა N1 და მასზე დამაგრებული 1515.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) და კონსტიტუციის ქუჩა N45-ში მდებარე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.01.572, შენობა-ნაგებობა N1 და მასზე დამაგრებული 517.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, იმერეთის ქუჩა N19-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.267, შენობა-ნაგებობა N1 და მასზე დამაგრებული 283.00 კვ.მ. არასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 28245.00 (ოცდაორვა ათას ორასორმოცდახუთი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 5649.00 (ხუთი ათას ექვსასორმოცდაცხრა) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 500.00 (ხუთასი) ლარით; ქალაქ ფოთში, კონსტანტინე რეკვაავას ქუჩა N5-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.760, შენობა-ნაგებობა N1 და მასზე დამაგრებული 1515.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 199010.00 (ასოთხმოცდაცხრამეტი ათას ათი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 39802.00 (ოცდაცხრამეტი ათას რვაასორი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 500.00 (ხუთასი) ლარით; ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქუჩა N45-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.01.572, შენობა-ნაგებობა N1 და მასზე დამაგრებული 517.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 41195.00 (ორმოცდაერთი ათას ასოთხმოცდათხუთმეტი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 8239.00 (რვა ათას ორასოცდაცხრამეტი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 500.00 (ხუთასი) ლარით;

მუხლი 3. განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2023 წლის 09 თებერვლის 15:00 საათიდან, 2023 წლის 23 თებერვლის 15:00 საათამდე.

მუხლი 4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუხლი 5. საპრივატიზებო უძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუხლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 8. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა.) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

ბ.) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 9. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423313 (შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან).

მუხლი 10. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.

მუხლი 11. უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge.

მუხლი 12. წინამდებარე ბრძანების სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსება უზრუნველყოფს ქონების მართვის განყოფილებამ, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge-ზე განთავსება უზრუნველყოფს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.

მუხლი 13. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუხლი 14. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსს ნინო გვასალიას.

მუხლი 15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

